

Jalloh v. Germany

ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

საჩივარი N 54810/00

გადაწყვეტილება

დიდი პალატა

11.07.2006

ფაქტები

1993 წლის ოქტომბერში, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელებმა რამდენჯერმე შეამჩნიეს მომჩივანი როგორ იღებდა პირიდან პატარა პლასტიკურ ტომარებს და ფულის სანაცვლოდ გადასცემდა მათ სხვა პირებს. იმ ეჭვის საფუძველზე, რომ ჩანთებში იყო ნარკოტიკი, პოლიციამ გადაწყვიტა მომჩივნის დაკავება. დაკავების პროცესში, მან გადაყლაპა ერთი პატარა ტომარა, რომელიც ჯერ კიდევ პირში ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მას ნარკოტიკი არ აღმოაჩნდა, პროკურორის ბრძანებით მას მისცეს პირღებინების საშუალება რომლის საშუალებითაც იგი იძულებით უკან ამოიღებდა პატარა ტომარას. მომჩივანი წაიყვანეს საავადმყოფოში, ექიმთან. მან უარი განაცხადა წამლის მიღებაზე, რის შემდეგაც, პოლიციის ოთხმა თანამშრომელმა იგი გააკავა, ექიმმა ძალის გამოყენებით მილი ჩაუდო ცხვირში და ორგანიზმში შეუყვანა მარილის ხსნარი და იპეკაკუანას სიროფი. ექიმმა მას ასევე გაუკეთა აპომოფინი, მორფინით წარმოებული საშუალება, რომელიც მოქმედებს როგორც ღებინების საშუალება. შედეგად, მომჩივანმა უკან ამოიღო კოკაინის პატარა ტომარა. ცოტა ხნის შემდეგ, მომჩივანი გამოიკვლია ექიმმა, რომელმაც იგი მიიჩნია პატიმრობისთვის ვარგისად. ღებინების საშუალების მიცემიდან დაახლოებით ორ საათში, როდესაც პოლიციელები დაბრუნდნენ მომჩივნის დასაკითხათ, მან გატეხილი ინგლისურით (აშკარა გახდა, რომ მას არ შეეძლო გერმანულად საუბარი) განაცხადა რომ ძალიან დაღლილი იყო ჩვენების მიცემისათვის. მომდევნო დღეს მომჩივანს ბრალი წაუყენეს ნარკოტიკებით ვაჭრობაზე და შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. მისი ადვოკატი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ მტკიცებულება უკანონოდ იქნა მოპოვებული და მათი გამოიყენება სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში არ შეიძლებოდა. მან მოგვიანებით განაცხადა, რომ პოლიციელები და ექიმი, რომლებიც მონაწილეობდნენ ოპერაციაში დამნაშავეები იყვნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სხეულის დაზიანებაში. და ბოლოს, იგი დავობდა, რომ ტოქსიკური

ნივთიერებების შეყვანა აკრძალული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და კოდექსის თანახმად ეს ზომა ასევე არაპროპორციული იყო, რადგან შესაძლებელი იქნებოდა იგივე შედეგის მიღება ტომარის ბუნებრივად გამოდევნებისთვის დალოდებით.

1994 წლის მარტში, რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო ნარკოტიკებით ვაჭრობაში და მიუსაჯა პირობითი სასჯელი ერთი წლის ვადით. მომჩივანმა წარუმატებლად გაასაჩივრა დაკისრებული მსჯავრდება, თუმცა თავისუფლების აღკვეთის ვადა შეუმცირდა ექვსი თვის ვადით. მომჩივნის საკასაციო საჩივარი ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა. ფედერალურმა საკასაციო სასამართლომ მომჩივნის საკონსტიტუციო სარჩელი დაუშვებლად ცნო და განაცხადა, რომ მას არ გამოუყენებია ყველა შესაძლო საშუალება გერმანიის სისხლის სამართლის სასამართლოებში. მან ასევე დაადგინა, რომ სადავო ღონისძიება არ წარმოშობდა რაიმე კონსტიტუციურ წინააღმდეგობას ადამიანის ღირსების დაცვასთან ან თვითინკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც გარანტირებულია გერმანიის ძირითადი კანონით.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

56. მომჩივანმა განაცხადა, რომ მის მიმართ ამოსაღებინებელი საშუალებების იძულების გზით გამოყენების შედეგად იგი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ; მოპყრობას. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმად:

“არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.”

57. მთავრობამ გააპროტესტა ეს ბრალდება.

A. მხარეთა არგუმენტები

1. მომჩივანი

58. მომჩივნის თანახმად, ამოსაღებინებელ საშუალებათა ძალდატანებით გამოყენებამ მნიშვნელოვნად ხელყო მისი პირადი ხელშეუხებლობა და სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მისი ჯანმრთელობა და აგრეთვე სიცოცხლე, რადგან გამოყენებულ ამოსაღებინებელ საშუალებებს - იპეკაკუნას ნაყენი და აპომორფინი - შეიძლება ახლდეთ სიცოცხლისათვის საშიში გვერდითი მოვლენები. ექვმიტანილი არ

დაეთანხმა თანამშრომლობას და ასეთ პირობებში მისთვის ცხვირში ზონდის ძალდატანებით შეყვანას შეეძლო დაეზიანებინა [მისი] ცხვირი, ყელი და საყლაპავი, ასევე გაეხეთქა ნარკოტიკების შემცველი პაკეტი მის კუჭში. ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენების საშიშროება ნათლად

გამოჩნდა, როდესაც მისი გამოსობით გერმანიაში უკვე ორი ექვმიტანილი გარდაიცვალა. ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების დიდი ნაწილი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ მეთოდს უკანონოდ მიიჩნევს. ჩარევას არ ამართლებს სამედიცინო დახმარების მომიზეზება. პირიქით, იგი უფრო ზრდის რისკს, რომ ექვმიტანილი მოიწამლოს მის მიერ გადაყლაპული ნარკოტიკებისგან. დემოკრატიულ საზოგადოებაში პატივს უნდა სცემდნენ ექვმიტანილის მხრიდან წინააღმდეგობის გამოხატვას მიმდინარე სამედიცინო მკურნალობის მიმართ და ეს ადამიანის თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი ნაწილია.

59. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მიზნად ისახავდა დაშინებასა და დამცირებას მისი ადამიანური ღირსების სრული უგულვებელყოფით. ის მეთოდი, რომლითაც იგი აიძულეს გაეგლო სიცოცხლისათვის საშიში სამედიცინო პროცედურა, იყო ძალადობრივი, საწამებელი და დამამცირებელი. ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მოუწია ღებინება რამდენიმე პოლიციელის თვალწინ. პოლიციის დაწესებულებაში ყოფნისას მან თავი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იგრძნო.

60. მეტიც, მომჩივანმა აღნიშნა, რომ საკამათო ზომის გატარებამდე ექიმს არავითარი ზეპირი გამოკითხვა არ ჩაუტარებია მისი სამედიცინო ისტორიისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არც არანაირი სამედიცინო დახმარება და ზედამხედველობა გაუწევიათ მისთვის მოგვიანებით ციხეში.

61. მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ მას მიაყენეს სხეულის დაზიანება, კერძოდ, კუჭს, რაც დაადასტურა ციხის საავადმყოფოში ჩატარებულმა გასტროსკოპიამ. ამასთან, მან განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა ამოსაღებინებელი საშუალებისა და მისი შემცველი ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისგან.

2. მთავრობა

62. მთავრობის თანახმად, ამოსაღებინებელი საშუალებების იძულებით გამოყენებას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ უმნიშვნელო რისკი ჯანმრთელობისათვის. იპეკაკუნას ნაყენი არ არის საშიში ნივთიერება. სინამდვილეში მას აძლევენ ბავშვებს მოწამვლის დროს. ძალზე ელასტიკური ზონდის შეყვანას განმცხადებლის ცხვირში არ შეეძლო მისი საფრთხეში ჩაგდება, იმის მიუხედავად, რომ მან ხსენებულ პროცედურას

წინააღმდეგობა გაუწია. ასევე უსაფრთხო იყო აპომორფინის ინექცია. მომჩივნის მიერ აღწერილი გვერდითი მოვლენები შეეძლო გამოეწვია სადავო ამოსაღებინებელ საშუალებათა მხოლოდ რეგულარულ და არამიზნობრივ მოხმარებას. ის ფაქტი, რომ ამოსაღებინებელი საშუალებების ძალდატანებითი მიღების გამო ჰამბურგსა და ბრემენში გარდაიცვალა ორი ნარკომოვაჭრე, არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ამ ტიპის პროცედურები, ზოგადად, სახიფათოა ჯანმრთელობისათვის. ხსენებული მეთოდი გამოუყენებიათ სხვა მრავალ შემთხვევაში ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე. ხელისუფლება ამ ღონეს მიმართავს მხოლოდ იმ მიწებზე, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობა საგანგაშო ზღვარს აღწევს. უმეტეს შემთხვევებში ექვმიტანილებმა ამოსაღებინებელ საშუალებათა ნებაყოფლობით მიღება არჩიეს მას შემდეგ, რაც გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პრეპარატს იძულებით მიაღებინებდნენ. ჰამბურგის შემთხვევაში მსჯავრდებულს ჰქონდა დაუდგენელი გულის დაავადება და მისთვის თანაბრად სარისკო იქნებოდა ნებისმიერი სხვა იძულებითი ზომისადმი გამძლიანება. ბრემენის საქმეში კი არ უნდა გამოირიცხოს, რომ მსჯავრდებული მოიწამლა თავისით გადაყლაპული ნარკოტიკებით.

63. მთავრობამ აღნიშნა ისიც, რომ არსებობდა ნამდვილი და უცილობელი საფრთხე, რომ ნარკოტიკის შემცველ პაკეტს, რომლის შეფუთვაც არ იყო განსაზღვრული გრძელვადიანი ტრანსპორტირებისათვის, შეეძლო გაეჟონა და მოეწამლა მომჩივანი. მიუხედავად იმისა, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები, პირველ რიგში, გამოიყენეს ნივთმტკიცების მოსაპოვებლად, ნარკოტიკების ამოღება მომჩივნის კუჭიდან მაინც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლობად სამედიცინო თვალსაზრისით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილი იყო მომჩივნის დაცვა, ნარკოტიკების ამოღებინების პროვოცირების გზით. მოცდა, სანამ ნარკოტიკები ბუნებრივი გზით გამოიყოფოდა, იქნებოდა ნაკლებად ეფექტიანი გამოძიების მეთოდი, თუნდაც ნაკლებ დამამცირებელი, და, არსებითად, შეეძლო საფრთხე შეექმნა მისი ჯანმრთელობისათვის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მოზარდებში მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილება, თუკი იგი ექვმიტანილია ნარკოტიკების კომერციულ გაყიდვაში.

64. მთავრობის თვალსაზრისით, სადავო ზომა არ გადასცდენია იმ ფარგლებს, რაც აუცილებელი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობის მტკიცებულების მოსაპოვებლად გერმანიის წინააღმდეგ ბლად. მომჩივანს უვნებელი ამოსაღებინებელი საშუალებები მისცა ექიმმა საავადმყოფოში Lege Artis დაცვით. მოცემულ ვითარებაში ამგვარი ზომა ვერ ჩაითვლება დამამცირებლად.

65. მთავრობამ შემდგომში დაამატა, რომ მომჩივანს ამოსაღებინებელი საშუალებები მიეცა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში ექიმმა შეადგინა მისი ანამნეზი, კერძოდ, ზეპირად გამოკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. იმავე ექიმმა გაუწია მეთვალყურეობა მომჩივნისადმი ამოსაღებინებელ საშუალებათა ჯეროვნად გამოყენების პროცედურას.

66. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაფერი ადასტურებდა, მიადგა თუ არა ზიანი მომჩივნს ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღების შედეგად, ან განიცდიდა თუ არა შემდგომ ტკივილს. პროცედურის შემდეგ იგი უბრალოდ რამდენიმე საათს იყო მოთენთილი, ისიც ან აპომორფინის გავლენით, ან გაწეული წინააღმდეგობის გამო. სასამართლოში საქმის მოსმენისას, მომჩივანი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მომდევნო პერიოდში მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი. თუმცა, მას არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტური მტკიცებულება ამ ვარაუდის გასამყარებლად.

B. სასამართლოს შეფასება

1. შესაბამისი პრინციპები

67. სასამართლოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოექცეს მე-3 მუხლის ფარგლებში. სისასტიკის ამ მინიმალური ზღვარის შეფასება ფარდობითია. იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა, მაგალითად, მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და გონებრივი ზემოქმედება და რიგ შემთხვევებში, დაზარალებულის სქესი, ასაკი თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. *inter alia*, *Price v. the United Kingdom*, საქმე N 33394/96, პუნქტი 24, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო /ECHR/ 2001-VII; *Mouisel v. France*, საქმე N 67263/01, პუნქტი 37, ECHR 2002-IX; და *Naumenko v. Ukraine*, საქმე N 42023/98, პუნქტი 108, 2004 წლის 10 თებერვალი). ბრალდებები არასათანადო მოპყრობაზე უნდა მყარდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. *mutatis mutandis*, *Klaas v. Germany*, 1993 წლის 22 სექტემბერი, პუნქტი 30, სერია A, საქმე N 269). ამ მტკიცებულების შესაფასებლად, სასამართლო იღებს “გონივრულ ეჭვს მიღმა” მტკიცების სტანდარტს. თუმცა, დასძენს, რომ ამგვარი მტკიცებულება უნდა გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, აშკარა და ერთსულოვანი დასკვნების თანაარსებობიდან ან ამგვარი არაწინააღმდეგობრივი ფაქტების პრეზუმციიდან (იხ. *Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, პუნქტი 161 ბოლო, სერია A, საქმე N 25, და *Labita v. Italy* [დიდი პალატა], საქმე N26772/95, პუნქტი 121, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV).

68. სასამართლომ მოპყრობა მიიჩნია “არაადამიანურად” , რადგან inter alia იგი იყო წინასწარ განზრახული, გაგრძელდა საათების მანძილზე და გამოიწვია როგორც სხეულის დაზიანება, ასევე ღრმა ფიზიკური და სულიერი ტკივილი (იხ. ზემოხსენებული ლაბიტას საქმე /Labita/, პუნქტი 120). მოპყრობა ითვლება „ღირსების შემლახველად“, როდესაც იგი თავისი შინაარსით დაზარალებულებში იწვევს შიშის, წვალებისა და დამცირებულობის გრძნობებს და რასაც შესაძლოა შეუძლია მისი ფიზიკური და მორალური მდგრადობის დარღვევა (იხ. *Hurtado v. Switzerland* 1994 წლის 28 იანვარი, კომისიის გადაწყვეტილება, პუნქტი 67, სერია A, საქმე N 280). ან როდესაც ის იყო იმგვარი, რომ უბიძგა დაზარალებულს, ემოქმედა საკუთარი ნებისა და სინდისის საწინააღმდეგოდ (მაგალითისთვის იხ. *Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece* (ე.წ. “ბერძნული საქმე” “Greek case”) NN: 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67, კომისიის 1969 წლის 5 ნოემბრის მოხსენება, მე-12 წელიწდეული, გვ. 186, და *Keenan v. the United Kingdom*, საქმე N 27229/95, პუნქტი 110, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III). ასევე, განსჯისას - არის, თუ არა მოპყრობა “ღირსების შემლახველი” მე-3 მუხლის ფარგლებში, ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რასაც სასამართლო გაითვალისწინებს არის ის, იყო თუ არა მისი საგანი შესაბამისი პირის დამცირება და მისი ღირსების შელახვა, თუმცა ამგვარი მიზეზის არარსებობას არ შეუძლია საბოლოო ჯამში გამორიცხოს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენა (იხ. *Raninen v. Finland*, 1997 წლის 16 დეკემბერი, პუნქტი 55, განჩინებათა და გადაწყვეტილებათა ანგარიშები, 1997-VIII; *Peers v. Greece*, საქმე N28524/95, პუნქტები 68 და 74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III; და ზემოთ მოყვანილი პრაისის საქმე /Price/, პუნქტი 24). იმისთვის, რომ დასჯა ან მასთან დაკავშირებული მოპყრობა ჩაითვალოს “არაადამიანურად” ან “ღირსების შემლახველად”, მიყენებული ტანჯვა ან დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა სცილდებოდეს ტანჯვისა და დამცირების იმ უცილობელ შემადგენელ ელემენტს, რაც უკავშირდება მოპყრობისა თუ დასჯის მოცემულ კანონიერ ფორმას (იხ. *Labita*, ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 120).

69. დაპატიმრებული პირის მიმართ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, სამედიცინო ჩარევის გამოყენებისას კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას თავისუფლებააღკვეთილ პირთა ჯანმრთელობა, რაც, მაგალითად, გამოიხატება სათანადო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფაში. მიუხედავად ამისა, ეს პირები რჩებიან მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ, რომლის მოთხოვნებიც არ უშვებს გადახვევას (*Mouisel*, ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 40, და *Naumenko*, პუნქტი 112). ზომა, რომელიც სამედიცინო პრაქტიკის პრინციპებიდან გამომდინარე გამოწვეულია მკურნალობის აუცილებლობით, არსებითად, ვერ ჩაითვლება არაადამიანურად და ღირსების შემლახველად (კერძოდ, იხ. *Herczegfalvy v. Austria*, 1992 წლის 24

სექტემბერი, პუნქტი 82, სერია A, საქმე N 244, და ზემოხსენებული Naumenko, პუნქტი 112). მაგალითისთვის, ასეთი რამ შეიძლება ითქვას იძულებით კვებაზე, რომ ეს ემსახურება რომელიმე კერძო პატიმრის სიცოცხლის გადარჩენას, რომელიც შეგნებულად ამბობს უარს საკვების მიღებაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ დამაჯერებლად წარმოჩენილი სამედიცინო აუცილებლობა სახეზეა და რომ გადაწყვეტილების პროცედურული გარანტიები, მაგალითად, იძულებით კვება, არსებობს და შესაბამისობაშია (იხ. Nevmerzhitsky v. Ukraine, საქმე N 54825/00, პუნქტი 94, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 2005-II).

70. იქაც, სადაც ეს არ არის განპირობებული სამედიცინო აუცილებლობით, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები, როგორც ასეთი, არ კრძალავენ სამედიცინო პროცედურის ჩატარებას ექვმიტანილის წინააღმდეგობის მიუხედავად, რათა მისგან მიიღონ მტკიცებულება სისხლის სამართლის დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ. ამრიგად, კონვენციით შექმნილმა ორგანოებმა რიგ შემთხვევებში დაადგინეს, რომ დანაშაულის გამოძიების მიზნით, სისხლისა და ნერწყვის სინჯების აღებას ექვმიტანილის ნების საწინააღმდეგოდ, არ დაურღვევია ხსენებული მუხლები მათ მიერ განხილულ საქმეთა გარემოებებში (იხ. *inter alia*, X v. the Netherlands, N 8239/78, კომისიის 1978 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები /Decisions and Reports (DR) 16/, გვ. 187-89, და Schmidt v. Germany (dec.), საქმე N 32352/02, 2006 წლის 5 იანვარი).

71. მიუხედავად ამისა, იძულებითი სამედიცინო ჩარევა სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულების მოპოვების მიზნით უნდა იყოს დამარწმუნებლად დასაბუთებული, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით მართებულია, როდესაც ღონისძიება მიზნად ისახავს პირის ორგანიზმიდან საკუთრივ იმ დანაშაულის ნამდვილი ნივთმტკიცების ამოღებას, რომელშიც მას ედება ბრალი. ამგვარი ქმედების განსაკუთრებულად იძულებითი ბუნება მოითხოვს არსებულ გარემოებათა განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას. ამ მიმართებით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენელი დანაშაულის სერიოზულობას. ხელისუფლების ორგანოებს ასევე მართებთ აჩვენონ, რომ მათ გაითვალისწინეს მტკიცებულების ამოღების ალტერნატიული მეთოდებიც. ამასთან, ღონისძიებას თან არ უნდა ახლდეს რაიმე საშიშროება, რამაც შეიძლება დააზიანოს ექვმიტანილის ჯანმრთელობა (იხ. *mutatis mutandis*, Nevmerzhitsky-საქმე, ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 94 და 97, და Schmidt).

72. მეტიც, რაც შეეხება პირის მიმართ თერაპევტული მიზნებით განხორციელებულ ჩარევას, მისი ორგანიზმიდან მტკიცებულების ამოსაღებად იძულებითი სამედიცინო

პროცედურა იმგვარად უნდა ჩატარდეს, რომ არ გასცდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც დადგენილია კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. სახელდობრ, გასათვალისწინებელია, განიცდის თუ არა პირი სერიოზულ ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას იძულებითი სამედიცინო ჩარევის შედეგად (იხ. *Peters v. the Netherlands*, საქმე N21132/93, კომისიის 1994 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, DR 77-B; *Schmidt*-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ; და *Nevmerzhitsky*, პუნქტები 94 და 97).

73. კიდევ ერთი საკითხი, რაც განსახილველია მსგავს საქმეებში: ტარდება თუ არა იძულებითი სამედიცინო პროცედურა ექიმის ნებართვითა და ხელმძღვანელობით, ან იმყოფებოდა თუ არა პირი მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ? (მაგალითისთვის იხ. *Ilijkov v. Bulgaria*, საქმე N 33977/96, კომისიის 1997 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, არასაანგარიშო).

74. გარდა ამისა, რელევანტურია იმის გარკვევა, დასრულდა თუ არა იძულებითი სამედიცინო ჩარევა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, ან განგრძობადი თანმდევი შედეგებით (იხ. *Ilijkov*-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ და *mutatis mutandis Krastanov v. Bulgaria*, საქმე N 50222/99, პუნქტი 53, 2004 წლის 30 სექტემბერი).

2. ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებით

75. სასამართლო თავშივე აღნიშნავს, რომ მთავრობის თვალსაზრისით, მომჩივნის კუჭიდან ნარკოტიკების ამოღება ამოსაღებინებელი საშუალებების გამოყენებით შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც აუცილებელი, სამედიცინო თვალსაზრისით, რადგან არსებობდა მოწამვლის შედეგად სიკვდილის რისკი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა ეროვნულმა სასამართლომ გაიზიარა ის შეხედულება, რომ ამოსაღებინებელი საშუალებების გამოყენების ბრძანების დროს ხელისუფლება ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლზე დაყრდნობით. ხსენებული დებულება ავალდებულებს გამომძიებელ ორგანოებს, გასცენ სხეულში შეღწევის ბრძანება, რომელსაც ექვმიტანილის ნებართვის გარეშე განახორციელებს ექიმი, რათა ამოიღონ მტკიცებულება, იმის გათვალისწინებით, რომ ექვმიტანილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მიუხედავად ამისა, 81-ე (ა) მუხლი არ ითვალისწინებს ზომებს, რაც ექვმიტანილის ჯანმრთელობას ააცილებს უცილობელი საფრთხის საშიშროებას. მეტიც, უდავოა, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები ისე გამოიყენეს, რომ წინასწარ არ შეუფასებიათ ის საფრთხეები, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ნარკოტიკების შემცველი პაკეტების მომჩივნის ორგანიზმში დარჩენას. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ ამოსაღებინებელი

საშუალებები არასოდეს გამოიყენება მოზარდი ნარკოდილერების მიმართ, თუკი ისინი ექვმიტანილნი არ არიან ნარკოტიკების კომერციულ გაყიდვაში. თუმცა, მოზარდი დილერები საჭიროებენ არანაკლებ სამედიცინო მეთვალყურეობას, ვიდრე უფროსები. თავის მხრივ, უფროსი დილერები იმავე რისკის ქვეშ ექცევიან, როგორც მოზარდი დილერები, როცა მათ მიმართ გამოიყენება ამოსაღებინებელი საშუალებები. შესაბამისად, სტრასბურგის სამართლო უკმაყოფილოა, რომ საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება სადავო ზომის დაშვებაზე განპირობებული და გამართლებული იყო სამედიცინო მიზეზებით, რაც ნიშნავს მომჩივნის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებას. სინამდვილეში კი მიზნად ისახავდა ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულის მტკიცებულების დაცვას.

76. თავის მხრივ, ეს მოსაზრება არ ამართლებს იმ დასკვნას, რომ საკამათო ჩარევა ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ზემოთ პუნქტი 70), სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში დაადგინა, რომ პრინციპში კონვენცია არ კრძალავს იძულებით სამედიცინო ჩარევას, თუ ის დაეხმარება ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში. მიუხედავად ამისა, მტკიცებულების მოპოვების მიზნით, პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ნებისმიერი ჩარევა უნდა გახდეს უმკაცრესი შემოწმების საგანი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შემდეგ ფაქტორებს: რა მოცულობით გახდა აუცილებელი იძულებითი სამედიცინო ჩარევა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად; რისკები ექვმიტანილის ჯანმრთელობისათვის; პროცედურის შესრულების მანერა და ამისგან გამოწვეული ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი, არსებული სამედიცინო ზედამხედველობის დონე და ზეგავლენა ექვმიტანილის ჯანმრთელობაზე (ასევე შეადარე და განასხვავე ანალოგიურ შემთხვევებში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოთა მიერ დაწესებული პრაქტიკა - იხ. ზემოთ პუნქტები 51-52). კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ჩარევამ არ უნდა გადააჭარბოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც ამგვარ ქმედებას მე-3 მუხლის ფარგლებში მოაქცევდა. ახლა სასამართლო სათითაოდ განიხილავს ყველა ამ ელემენტს.

77. იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოცულობით გახდა აუცილებელი იძულებითი სამედიცინო ჩარევა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა სერიოზული დანაშაულია. მისთვის ნათელია ამ პრობლემის სიმწვავე, რასაც ექახებიან ხელშემკვრელი სახელმწიფოები და ცდილობენ, წინ აღუდგნენ ზიანს, ნარკოტიკებით მომარაგებას რომ ახლავს საზოგადოებისთვის (სახელდობრ იხ. . D. v. the United Kingdom, 1997 წლის 2 მაისი, პუნქტი 46, მოხსენებები 1997-III). თუმცა, წინამდებარე საქმეში სადავო ზომის გამოყენების ბრძანებამდე და

გამოყენებამდე ნათელი იყო, რომ ქუჩის დილერი, რომლის მიმართაც ამ ზომას მიმართეს, ნარკოტიკებს ინახავდა პირის ღრუში და სათანადოდ მასშტაბურად ვერ ვაჭრობდა. ეს აისახა სასჯელშიც (პირობითი მსჯავრი ერთი წლის ვადით და საპრობაციო ზედამხედველობა), რაც ამგვარ სასჯელთა შორის ყველაზე მინიმალურია. სასამართლო იზიარებს მიდგომას, რომ გამომძიებელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა გასაყიდი ნარკოტიკების რაოდენობისა და ხარისხის დადგენას. მიუხედავად ამისა, იგი უკმაყოფილოა იმით, რომ წინამდებარე საქმეში მტკიცებულების მოსაპოვებლად აუცილებელი აღმოჩნდა ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენება. გამომძიებელ ორგანოებს შეეძლოთ უბრალოდ მოეცადათ, თუ როდის გამოიყოფოდა ნარკოტიკი ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით. ნიშანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს ბევრი წევრი სახელმწიფო ამ მეთოდს იყენებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოსადიებლად.

78. სამედიცინო ჩარევის თანმდევ რისკებთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის საკამათო თემაა, თუ რამდენად შეუქმნა მომჩივნის ჯანმრთელობას რისკი ცხვირის არედან ზონდით იპეკაკუნას ნაყენის შეყვანამ და აპომორფინის ინექციამ. არის თუ არა ასეთი ზომები სახიფათო, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა (იხ. პუნქტები 41-44), სადავო საკითხია მედიცინის ექსპერტებისთვისაც. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ხსენებულს მიიჩნევს სრულიად უვნებელ და ექვმიტანილის ინტერესებში შემავალ ზომად, სხვები ასაბუთებენ, რომ კერძოდ ცხვირის ზონდის გამოყენება ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებით შესაყვანად, შეიცავს სერიოზულ საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და, შესაბამისად, უნდა აიკრძალოს. სასამართლოს არ აკმაყოფილებს მტკიცება, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენება - პროცედურა, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით დასრულდა ორი სასიკვდილო შედეგით მოპასუხე სახელმწიფოში - შეიცავს უმნიშვნელო საფრთხეს ჯანმრთელობისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი აგრეთვე შენიშნავს, რომ ძალის რეალური გამოყენება - ძალის უმნიშვნელო გამოყენების საპირისპიროდ - აუცილებელი გახდა მოპასუხე სახელმწიფოებში მხოლოდ საქმეთა მცირე ნაწილში, რომლებშიც კი ამოსაღებინებელ საშუალებებს მიმართეს. მიუხედავად ამისა, ფატალური შემთხვევები დაფიქსირდა საქმეებში, სადაც გამოიყენებოდა ძალისმიერი მეთოდი. მეტიც, ის ფაქტი, რომ გერმანიის მიწების უმეტესობაზე და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში ხელისუფლების ორგანოები ერიდებიან ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენებას, გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ამგვარი ზომა მოიაზრებს საფრთხეს სიცოცხლისათვის.

79. რაც შეეხება ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენების მანერას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ ნებაყოფლობით მიღებაზე უარის შემდეგ, მომჩივანი ძირს დააგდო ოთხმა პოლიციელმა, რაც აჩვენებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს სისასტიკის ზღვართან მიახლოებული იძულება. შემდეგ, მისი ფიზიკური და გონებრივი წინააღმდეგობის დასაძლევად, ცხვირის გავლით კუჭში შეიყვანეს ზონდი. ეს, წესით, გამოიწვევდა ტკივილსა და შიშს. ამას გარდა, მომჩივნის ნების საწინააღმდეგოდ, განხორციელდა მორიგი იძულებითი ფიზიკური ჩარევა, რაც გამოიხატა სხვა ამოსაღებინებელი საშუალების ინექციით. გასათვალისწინებელია მომჩივნის სულიერი ტანჯვა, სანამ ამოსაღებინებელი საშუალებები დაიწყებდნენ მოქმედებას. ამ დროს იგი გაკავებული ჰყავდათ პოლიციის ოფიცრებს და იმყოფებოდა მათი და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ამ ვითარებაში იძულებითი ღებინება, სავარაუდოდ, შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო მისთვის. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ ორგანიზმიდან ნარკოტიკების ბუნებრივი გზით გამოყოფის ცდა ასევე დამამცირებელი იქნებოდა. მართალია, ასეთი საქციელი ერთგვარი ჩარევაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, რადგან ზედამხედველობას საჭიროებს, მაგრამ იგი უკავშირდება სხეულის ბუნებრივ ფუნქციონირებას და, ამდენად, ახლავს მნიშვნელოვნად ნაკლები ჩარევა პირის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში, ვიდრე იძულებით სამედიცინო ჩარევას (იხ. *mutatis mutandis*, ზემოხსენებული *Peters da Schmidt*)

80. რაც შეეხება სამედიცინო მეთვალყურეობას ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო ზომა ექიმმა განახორციელა საავადმყოფოს პირობებში. აგრეთვე, პროცედურის ჩატარების შემდეგ მომჩივანი დაათვალიერა ექიმმა და გამოაცხადა პატიმრობისათვის ვარგისად. თუმცა, მხარეთა შორის დავის საგანია ის, შეადგინეს თუ არა მომჩივნის ანამნეზი ღონისძიების განხორციელებამდე, რათა გარკვეულიყო, რა ზიანს მიაყენებდა მის ჯანმრთელობას ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მისი თანხმობის გარეშე. რადგან განმცხადებელი გაუძალიანდა ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღებას და, ამასთან, ლაპარაკობდა არა გერმანულად, არამედ დამტკრეული ინგლისურით, დასაშვებია, რომ მას არ შეეძლო ან არ სურდა ეპასუხა კითხვებზე, რომელიც დაუსვა ექიმმა, ან გაეწეო წინასწარი სამედიცინო შემოწმება. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი დოკუმენტური ან რაიმე სხვა მტკიცებულება ამის სხვაგვარად წარმოსაჩენად.

81. რაც შეეხება სადავო ზომის გავლენას ექვმიტანილის ჯანმრთელობაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები ვერ თანხმდებიან, მიიღო თუ არა მომჩივანმა რაიმე გრძელვადიანი დაზიანება, სახელობრ, კუჭის. მის ხელთ არსებულ მასალებზე

დაყრდნობით, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ ვერ დადგინდა, რამდენად უკავშირდება ამოსაღებინებელ საშუალებათა ძალდატანებით მიღებას, დაკავებიდან ორთვე-ნახევრის შემდეგ, კუჭთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა ციხის საავადმყოფოში ან სხვა ტიპის სამედიცინო დახმარება. ეს დასკვნა, რასაკვირველია, არ აყენებს კითხვის ქვეშ სასამართლოს ზემოხსენებულ მოსაზრებას, რომ იძულებითი სამედიცინო ჩარევა არ განხორციელებულა მომჩივნის ჯანმრთელობისთვის შესაძლო საფრთხის გარეშე.

82. საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ზომამ მიაღწია სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვარს, რაც საკმარისია მისი მე-3 მუხლის ფარგლებში მოსაქცევად. ხელისუფლების ორგანოები, მომჩივნის ნების საწინააღმდეგოდ, უხეშად ჩაერივნენ მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში. მათ გამოიწვიეს იძულებითი ღებინება, არა თერაპევტული მიზნით, არამედ მტკიცებულების მოსაპოვებლად, რაც ნაკლებად ძალადობრივი მეთოდებითაც შეიძლებოდა. შესაძლებელია, რომ მანერა, რომლითაც სადავო ზომა განხორციელდა, მომჩივანში აღძრავდა შიშის, წამებისა და დაუცველობის განცდას, რასაც, თავის მხრივ, შეეძლო მისი შეურაცხყოფა და დამცირება. მეტიც, პროცედურას თან სდევდა რისკი განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარ სათანადოდ არ შეუდგენიათ ანამნეზი. მართალია, ეს არ იყო მიზანმიმართული ზომა, მაგრამ შესრულდა იმგვარად, რომ მომჩივანს მიაყენა როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ტკივილი. შესაბამისად, მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ, მომჩივანი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას.

83. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

II. კონვენციის მე-8 მუხლის საგარაუდო დარღვევა

84. მომჩივნის საჩივრის თანახმად, ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებითმა გამოყენებამ გამოიწვია არაპროპორციული ჩარევა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. იგი დაყრდნო კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილები გვამცნობენ:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ... ცხოვრებას ...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობის ან დანაშაულის თავიდან

ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

85. მთავრობა არ დაეთანხმა ამ ბრალდებას.

86. სასამართლომ უკვე განიხილა მომჩივნის საჩივარი ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებაზე კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. თავისი დასკვნის გათვალისწინებით, რომ დაირღვა ხსენებული დებულება, სასამართლო ადგენს, რომ მე-8 მუხლის ფარგლებში ამ საკითხის განხილვა საჭირო აღარაა.

III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

87. მომჩივანმა ასევე მიიჩნია, რომ ამოსაღებინებელი საშუალებების გამოყენებით მოპოვებული ნივთმტკიცების სასამართლო პროცესზე გამოყენებით დაირღვა მისთვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. კერძოდ, იგი დავობდა, რომ დაირღვა მისი უფლება, არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია. მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს, რომ:

“განსაზღვრისას ... წარდგენილი სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების ... გამორკვევისას ყველას აქვს..... სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ.“

88. მთავრობამ გააპროტესტა ეს შეხედულება.

A. მხარეთა არგუმენტები

1. მომჩივანი

89. მომჩივნის აზრით, ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება იყო უკანონო და დაარღვია კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები. რადგანაც ამ სახით მოპოვებული მტკიცებულება გახდა მსჯავრდების ერთადერთი საფუძველი, შესაბამისად, მის წინააღმდეგ წარმართული სისხლის სამართლის პროცესიც იყო უსამართლო.

90. შემდგომში მომჩივანმა აღნიშნა, რომ მისი იძულებით, ამოედო დანაშაულის მტკიცებულება მისივე ნების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვიეს მისი უფლება, არ მოეხდინა თვითინკრიმინაცია და, აქედან გამომდინარე, საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაც. თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი არ შემოიფარგლება იძულების გზით მიღებული ჩვენებებით, არამედ ვრცელდება ამგვარად ამოღებულ საგნებზეც. მეტიც, მისი საქმის

ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდება იმათგან, რასაც ვხვდებით საქმეში *Saunders v. the United Kingdom* (1996 წლის 17 დეკემბერი, მოხსენებები 1996-VI). სისხლისა და დნმ-ის (DNA) ანალიზების აღებასთან დაკავშირებული საქმეებისგან განსხვავებით, რომლებსაც სასამართლო მოუხმობს წინამდებარე საქმეში გადაწყვეტილების გამოტანისას, მტკიცებულების მოპოვების მიზნით ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება გულისხმობს ქიმიური შენაერთების მოხმარებას, რამაც სხეული მიიყვანა არაბუნებრივ და უნებლიე მოქმედებამდე. მისი უარი ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღებაზე, გადაიღახა საგრძნობი ძალის გამოყენებით. ამდენად, ამოღებული მტკიცებულება არ არსებობდა დამოუკიდებლად, მისი ნების გარეშე, და იგი აიძულეს აქტიური წვლილი შეეტანა თვითინკრიმინაციის პროცესში. ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება შეიძლება შევადაროთ ე.წ. სიმართლის შრატის გამოყენებას აღიარების მოპოვების მიზნით, რასაც სრულიად ცალსახად კრძალავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლი. თავისი საჩივრის გასამყარებლად, მომჩივანი დაეყრდნო ფრანკფურტის (მაინის) სააპელაციო სასამართლოს 1996 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებას.

2. მთავრობა

91. მთავრობის თვალსაზრისით, მომჩივნის მიმართ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება არ ეწინააღმდეგება კონვენციის არც მე-3 და არც მე-8 მუხლს. აქედან გამომდინარე, ამგვარად მოპოვებული ნარკოტიკების შემცველი პაკეტების მტკიცებულებად გამოყენება განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესში ამ პროცესს უსამართლოს არ ხდის. მომჩივნის გასამართლებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ გაყიდული ნარკოტიკების ზუსტი შემადგენლობის, რაოდენობისა და ხარისხის დადგენის პროცედურას.

92. გარდა ამისა მთავრობამ განაცხადა, რომ ადამიანის უფლება, არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია, მხოლოდ და მხოლოდ კრძალავს პირის იძულებას, იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ. ლებინების პროვოცირებას მოჰყვა ორგანიზმის ის რეაქცია, რასაც ვერ მართავს ინდივიდის ნება და, შესაბამისად, არ არის აკრძალული თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპით. ასე რომ, ექვმიტანილი არ უიძულებიათ, აქტიურად შეეწყო ხელი მტკიცებულების გადარჩენისთვის. ბრალდებულის თავდაპირველი უარი ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღებაზე ვერ ჩაითვლება ჯეროვან მიზეზად. ასე რომ იყოს, ყველა საგამოძიებო საშუალება, რომელიც მიზნად ისახავს ექვმიტანილის ნების გადალახვას მტკიცებულების

მოსაპოვებლად, როგორცაა, მაგალითად, სისხლის ანალიზის იძულებითი აღება ან სახლის ჩხრეკა, უბრალოდ აიკრძალებოდა.

93. მეტიც, მთავრობამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ შაუნდერს-ის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენებით მოპოვებული სამხილი ჩაითვალა მისაღებ მტკიცებულებად. თუკი სამხილად შესაძლებელი იყო ორგანიზმის სითხეებისა და უჯრედების გამოყენება, მით უფრო შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იმ საგნების გამოყენება, რომლებიც არ მიეკუთვნება მსჯავრდებულის სხეულის ნაწილს. მეტიც, ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება, რაც განმცხადებელს უბრალოდ მშვიდად უნდა მიეღო, ვერ შეედრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლით აკრძალული ე.წ. სიმართლის შრატის გამოყენებას, რამაც გატეხა ექვიმიტანილის გადაწყვეტილება, არ მიეცა ჩვენება.

B. სასამართლოს შეფასება

1. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები

94. სტრასბურგის სასამართლო კვლავაც ხაზს უსვამს თავის მოვალეობას, უზრუნველყოს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებების შესრულება კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად. კერძოდ, მის ფუნქციაში არ შედის ფაქტებსა თუ კანონში ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებულ შეცდომათა განხილვა, თუკი რაღაც ზომით არ დაირღვა კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, თუმცა, იგი, როგორც ასეთი, არ ადგენს რაიმე წესს მტკიცებულების დასაშვებობაზე. ეს უკანასკნელი, უმთავრესად, ეროვნული კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს (იხ. *Schenk v. Switzerland*, 1988 წლის 12 ივლისი, პუნქტები 45-46, სერია A, N 140, და *Teixeira de Castro v. Portuga*, 1998 წლის 9 ივნისი, პუნქტი 34, მოხსენებები 1998-IV).

95. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს არ ევალება განსაზღვროს, შეიძლება თუ არა დასაშვები იყოს კონკრეტული მტკიცებულება - მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება, ან მართლაც დამნაშავეა თუ არა მომჩივანი. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: იყო თუ არა სამართლიანი სამართალწარმოების მთელი პროცესი, მტკიცებულებათა მოპოვების გზების ჩათვლით? ეს ასევე მოიცავს სადავო “უკანონობაზე” მსჯელობას და, თუ მოიაზრება კონვენციის სხვა უფლების დარღვევა, ამ დარღვევის ბუნების განსაზღვრას (იხ. *inter alia*, *Khan v. the United Kingdom*, საქმე N 35394/97, პუნქტი 34,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-V; P.G. and J.H. v. the United Kingdom, საქმე N 44787/98, პუნქტი 76, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-IX; და Allan v. the United Kingdom, საქმე N 48539/99, პუნქტი 42, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-IX).

96. იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართალწარმოების მთელი პროცესი სამართლიანი, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად მოხდა დაცვის უფლებების პატივისცემა. კერძოდ, შესამოწმებელია, რამდენად მიეცა მომჩივანს საშუალება, ხელისუფლების ორგანოების წინაშე გაესაჩივრებინა მტკიცებულების სანდოობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას. ამასთან, გასათვალისწინებელია მტკიცებულების ხარისხი და ისიც, თუ რამდენად აღძრავს ეჭვს იმ გარემოებათა სანდოობა და სიზუსტე, რომლებშიც ის მოიპოვეს. რამდენადაც არ არის აუცილებელი, დადგეს სამართლიანობის პრობლემა, როცა მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მასალებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ მტკიცებულება ძალიან მყარია და არ არსებობს მის სანდოობაში დაეჭვების რისკი, შესაბამისად მცირდება დამხმარე მტკიცებულებათა საჭიროება (იხ. *inter alia* Khan-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 35 და 37, და Allan, პუნქტი 43).

97. მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები მიესადაგება ყველა სისხლის სამართალწარმოებას, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის დანაშაულზეა საუბარი. თუმცა, იმის განსაზღვრისას, რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოების მთელი პროცესი, გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში. იგი უნდა გახდეს ინდივიდის პირადი ინტერესის საპირწონე, რომ მტკიცებულებები ამ პირის წინააღმდეგ შეგროვდეს კანონიერად. თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებს არ შეუძლიათ გაამართლონ ის ზომები, რომლებიც აღემატება მომჩივნის დაცვის უფლების სიღრმისეულ არსს, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპის ჩათვლით (იხ. *mutatis mutandis*, *Heaney and McGuinness v. Ireland* საქმე N 34720/97, პუნქტები 57- 58, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-XII).

98. სახელდობრ, რაც შეეხება მსჯელობას კონვენციის დადგენილ დარღვევაზე, სასამართლო შენიშნავს, რომ განსაკუთრებით Khan-ისა (*Khan v. the United Kingdom* ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 25-28) და P.G. and J.H.-s (*P.G. and J.H. v. the United Kingdom* ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 37-38) საქმეებში მან დაადგინა, რომ საიდუმლო მოსასმენი მოწყობილობების გამოყენება არღვევდა მე-8 მუხლს, რადგან ამგვარი აპარატურის გამოყენებისთვის არ არსებობდა სათანადო საფუძვლები

ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა ასევე “კანონის ფარგლებს მიღმა” ექცეოდა. მიუხედავად ამისა, ამგვარად მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად მიღება ამ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებს.

99. თუმცა, მტკიცებულებას, რომელიც მე-3 მუხლის დარღვევითაა მოპოვებული, სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება მიესადაგოს. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საკითხი მაშინაც კი, როდესაც ასეთი მტკიცებულება არ ყოფილა გადამწყვეტი მსჯავრდებისათვის (იხ. *İçöz v. Turkey* (dec.) საქმე N 54919/00, 2003 წლის 9 იანვარი, და *Koç v. Turkey* (dec.), საქმე N 32580/96, 2003 წლის 23 სექტემბერი). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი, როგორიცაა ბრძოლა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან, კონვენცია აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებასა და არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. განსხვავებით კონვენციისა და N1 და 4 ოქმების სხვა არსებით დებულებათაგან, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს გამოწაკლისებს და დაუშვებლად მიიჩნევს მისგან გადახვევას მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს (იხ. *inter alia*, *Chahal v. the United Kingdom*, 1996 წლის 15 ნოემბერი, პუნქტი 79, მოხსენებები 1996-V, და *Selmouni v. France* [დიდი პალატა], საქმე N 25803/94, პუნქტი 95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-V).

100. რაც შეეხება დუმილის უფლებისა და თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, სასამართლო შენიშნავს, რომ ეს არის ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მე-6 მუხლით დადგენილ სამართლიანი პროცედურის იდეას. მათი ლოგიკური საფუძველია *inter alia* ბრალდებულის დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო იძულებისგან, რითაც გამოირიცხება უსამართლობა და შესრულდება მე-6 მუხლის მიზნები. კერძოდ, ადამიანის უფლება, არ დაიდანაშაულოს თავი, ითვალისწინებს საქმეში სისხლის სამართლებრივი დევნით ბრალდებულის წინააღმდეგ ბრალის დამტკიცებას ისე, რომ მისგან მტკიცებულებას არ მოიპოვებენ იძულებით ან ზეწოლის მეთოდების გამოყენებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ (იხ. *Inter alia*, ზემოთ ციტირებული შაუნდერს, პუნქტი 68; *Heaney*

and McGuinness, პუნქტი 40; J.B. v. Switzerland, საქმე N 31827/96, პუნქტი 64, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III; და ზემოთ ციტირებული Allan, პუნქტი 44).

101. იმის განხილვისას, უგულებელყვეს თუ არა თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის ძირითადი არსი, სასამართლომ უნდა შეისწავლოს იძულების ბუნება და ხარისხი, უნდა გამოიკვლიოს პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობა და ამგვარად მოპოვებული მასალების გამოყენების ხარისხი (მაგალითისთვის იხ. თირადო Tirado Ortiz and Lozano Martin v. Spain (dec.), საქმე N 43486/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-V; ზემოთ ციტირებული Heaney and McGuinness, პუნქტები 51-55; და ალანი /Allan/, პუნქტი 44).

102. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლება, პირმა არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია, პირველ რიგში, ნიშნავს ბრალდებულის დუმილის უფლების პატივისცემას. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების და სხვათა სამართლებრივ სისტემებში არსებული საყოველთაო გაგებით, ეს პრინციპი არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაში იმ მასალების გამოყენებაზე, რომლებიც მოპოვებულია იძულების წესით, თუმცა არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, როგორცაა *inter alia* შესაბამისი ნებართვით ამოღებული დოკუმენტები, სუნთ ვის, სისხლის, შარდის, თმის ან ხმის ნიმუშები და ორგანიზმის ქსოვილები, საჭირო დნმ-ს ანალიზისთვის (იხ. ზემოთ ციტირებული Saunders, პუნქტი 69; Choudhary v. the United Kingdom (dec.), საქმე N 40084/98, 1999 წლის 4 მაისი; ზემოთ მოყვანილი J.B. v. Switzerland, პუნქტი 68; ; P.G. and J.H. v. the United Kingdom, პუნქტი 80).

2. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებით

103. იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ამ პრინციპების ფონზე მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესი სამართლიანი, სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიმართ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულება არ მიუღიათ „არაკანონიერად“, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენებს, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი იძლეოდა იძულებითი ზომის გამოყენების უფლებას.

104. სასამართლომ ზემოთ დაადგინა, რომ მე-3 მუხლის არსებითი დებულებების საწინააღმდეგოდ, მომჩივანი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას, როდესაც გადაყლაპული ნარკოტიკების იძულებით ამოსაღებად მის მიმართ გამოიყენეს ამოსაღებინებელი საშუალებები. ამგვარად, სისხლის

სამართალწარმოებისას მომჩივნის წინააღმდეგ გამოყენებული მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კონვენციით გარანტირებული ერთ ერთი ძირითადი უფლების პირდაპირი დარღვევით.

105. როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლის სამართალწარმოებისას მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება აღძრავს სერიოზულ კითხვებს პროცედურების სამართლიანობაზე. სასამართლოს წინამდებარე საქმეში არ დაუდგენია, რომ მომჩივანი დაექვემდებარა წამებას. მისი აზრით, თვითინკრიმინაციით მიღებულ მტკიცებულებას - იქნება აღიარების ფორმით, თუ რეალური სახით - არასოდეს უნდა დაეფუძნოს მსხვერპლის ბრალეულობის მტკიცება (მიუხედავად მისი დამამტკიცებელი ღირებულებისა), თუკი იგი მოპოვებულია ძალადობის ან სისასტიკის ან სხვა ამგვარი მოპყრობის შედეგად, რაც შეიძლება შეფასდეს წამებად. ნებისმიერი სხვა დასკვნა შეიძლება ემსახუროს მორალურად გაუმართლებელი ქმედების ირიბ ლეგიტიმაციას, რაც კონვენციის მე-3 მუხლის ავტორების თანახმად, ასაკრძალია, ან როგორც ეს მშვენივრად აისახა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე Rochin (იხ. ზემოთ პუნქტი 50), [ამით ჩვენ] “სისასტიკეს შევმოსავდით მართლმსაჯულების მანტიით”. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლი ამბობს, რომ წამების შედეგად გაკეთებული განცხადებები არ უნდა იქნას გამოყენებული წამების მსხვერპლის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით სისხლის სამართლის პროცესზე.

106. მიუხედავად იმისა, რომ მოპყრობას, რომელსაც მომჩივანი დაექვემდებარა, არ მიუღწევია წამების აქტებისთვის დამახასიათებელ სამარცხვინო დონემდე, იგი აღნიშნულ ვითარებაში მივიდა სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვრამდე, რასაც მოიცავს მე-3 მუხლის აკრძალვათა სფერო. არ უნდა გამოირიცხოს, რომ კონკრეტული საქმის ფაქტებზე მიზანმიმართული არასათანადო მოპყრობით (რომელიც არ უტოლდება წამებას) მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებამ უსამართლოდ წარმართოს მომჩივნის წინააღმდეგ საქმის სასამართლო განხილვა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სერიოზული დანაშაულია სავარაუდოდ ჩადენილი, რამდენად დამამძიმებელია მტკიცებულება და რა პირობები იყო შექმნილი იმისთვის, რომ დაზარალებულს გაესაჩივრებინა მათი [მტკიცებულების] აღიარება და გამოყენება სასამართლო პროცესზე.

107. წინამდებარე საქმეში კითხვა, თუ რამდენად შეუძლია არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად შეფასებული ქმედებით მოპოვებულ

მტკიცებულებას ავტომატურად აქციოს სასამართლო პროცესი უსამართლოდ, შეიძლება დარჩეს ღიად. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნისთვის ტკივილისა და ტანჯვის მიყენება რომც არ ყოფილიყო ხელისუფლების ორგანოთა მიზანი, მაინც მტკიცებულება მოიპოვეს იმ მეთოდით, რომელმაც დაარღვია კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი უფლება. ამასთან, მხარეები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ იძულების გზით ამოღებული ნარკოტიკები იყო ძირითადი შემადგენელი მომჩივნის მსჯავრდების უზრუნველსაყოფად. მართალია ისიც, რაც ასევე არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია, კერძოდ, მომჩივანს მიეცა შესაძლებლობა (რომელიც მან გამოიყენა), გაესაჩივრებინა ძალდატანებითი გზით ამოღებული ნარკოტიკების [მტკიცებულებად] გამოყენება. მიუხედავად ამისა, ნებისმიერ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაუშვან ამ მტკიცებულების მოხმარება, არ უწერია აღსრულება, რადგან მათ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მიიჩნიეს ადგილობრივი კანონმდებლობით დაშვებულ ნორმად. მეტიც, საზოგადოებრივი ინტერესი მომჩივნის მსჯავრდების უზრუნველყოფაში არ უნდა განიხილებოდეს ისეთი წონის მქონედ, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მტკიცებულების სასამართლო პროცესზე გამოყენება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზომა განისაზღვრა ქუჩის დილერისათვის, რომელიც ყიდდა შედარებით მცირე ოდენობის ნარკოტიკებს და სათანადოდ მიესაჯა ექვს თვემდე პირობითი პატიმრობა.

108. ამ ვითარებაში სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივნისგან ძალადობრივი გზით ამოღებული ნარკოტიკული საშუალების მტკიცებულებად გამოყენებამ მთელი სასამართლო პროცესი აქცია არასამართლიანად.

109. ეს დასკვნა თავისთავად საკმარისი საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანს მე-6 მუხლის დარღვევით უარი ეთქვა სამართლიან სასამართლო პროცესზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს ჯეროვნად მიაჩნია, ყურადღება მიაპყროს მომჩივნის საჩივარს, რომ იმან, თუ რა მანერით მოხდა მტკიცებულების ამოღება და მისი გამოყენება, ძირი გამოუთხარა მის უფლებას თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ მიმართებით, სასამართლო პირველ რიგში გაარკვევს, მიესადაგებოდა თუ არა ეს კერძო უფლება მომჩივნის საქმის გარემოებებს და ასევე დაირღვა თუ არა იგი.

110. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლო შენიშნავს, რომ სახეზეა სასამართლო განხილვაზე “ნამდვილი” მტკიცებულების (და არა აღიარების) გამოყენება, რომელიც მომჩივნის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ძალისმიერი ჩარევითაა მოპოვებული. იგი დასძენს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა

ქვეყნებში, საყოველთაო გაგებით, თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრივილეგია ნიშნავს ბრალდებულის ნების პატივისცემას, შეინარჩუნოს დუმილი დაკითხვისას და მისცეს ჩვენება იძულების გარეშე.

111. მიუხედავად ამისა, სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპს, რათა მოიცვას ის საქმეები, სადაც ნამდვილი მტკიცებულებები იძულებით გადასცეს ხელისუფლების ორგანოებს. მაგალითად, საქმეში *Funke v. France*-მ (1993 წლის 25 თებერვალი, პუნქტი 44, სერია A, საქმე N 256-A), სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის იძულების მცდელობა, გადაეცა დოკუმენტაცია და ამით წარმოედგინა მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება, არღვევს მის უფლებას, არ დაიდანაშაულოს თავი. საქმეში *J.B. v. Switzerland* (ზემოთ მოყვანილი, პარაგრაფები 63-67), სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოები შეეცადნენ ეიძულებინათ მომჩივანი, რომ მას წარმოედგინა დოკუმენტები, რომელთაც, შესაძლოა, გამოეაშკარავებინათ გადასახადებისგან თავის არიდება, რაც ეწინააღმდეგებოდა თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპთან (ამის ფართო გაგებით).

112. საუნდერსის საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი არ მოიცავს “მასალას, რომლის მოპოვებაც ბრალდებულისგან შესაძლებელია იძულებითი ზომების გამოყენებით, არამედ რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად. ასეთი მასალაა *inter alia*, [ჩხრეკის] ბრძანების საფუძველზე ამოღებული დოკუმენტები, სუნთქვისა და შარდის ნიმუშები, და დნმ-ის ანალიზისთვის საჭირო ორგანული ქსოვილები” (ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 69).

113. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, სახელდობრ, ამოსაღებიანებელ საშუალებათა გამოყენებით ამოღებული, მომჩივნის ორგანიზმში დამალული ნარკოტიკები შეიძლება მიეკუთვნოს მასალის იმ კატეგორიას, რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად და რომლის გამოყენებაც ზოგადად არ არის აკრძალული სისხლის სამართალწარმოებისას. თუმცა, არის რიგი ელემენტებისა, რაც ამ საქმეს განასხვავებს საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილ მაგალითთაგან. პირველ რიგში, საქმეებში - *Funke v. France* და *J.B. v. Switzerland* მომჩივნის ნების საწინააღმდეგოდ ამოსაღებიანებელი საშუალებები იძულებით გამოიყენეს ნამდვილი მტკიცებულების ამოსაღებად. ამის საპირისპიროდ, საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილი ორგანული მასალები მოიცავდა იმ ნიმუშებს, რომელთა ამოღებაც მოხდა იძულების გზით სასამართლო სამედიცინო

ექსპერტიზისთვის, რათა, მაგალითად, დაედგინათ ორგანიზმში ალკოჰოლის ან ნარკოტიკების შემცველობა.

114. მეორეც, წინამდებარე საქმეში გამოყენებული ძალის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება იძულების იმ დონისგან, რაც, ჩვეულებისამებრ, მოითხოვება საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილი მასალების ამოსაღებად. ამგვარი მასალის მოსაპოვებლად, ბრალდებულს მოეთხოვება მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგალითად, სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილების ნიმუშების აღებისას). მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა, საუნდერსის საქმის თვალსაზრისით, ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით წარმოშობილ მასალებს (როგორიცაა: სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები). ამის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში მტკიცებულების ამოღებინების მიზნით, მოჩივანს იძულებით შეუყვანეს ზონდი ცხვირის არედან და ამ გზით მიაწოდეს ნივთიერება, რასაც მისი ორგანიზმის პათოლოგიური რეაქცია უნდა გამოეწვია. როგორც ადრე აღინიშნა, ეს პროცედურა არ იყო უსაფრთხო მომჩივნის ჯანმრთელობისათვის.

115. და მესამეც, წინამდებარე საქმეში მტკიცებულება მოიპოვეს პროცედურით, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს. მომჩივნის საქმეში გამოყენებული პროცედურა სრულიად განსხვავდება იმ პროცედურათაგან, რომელთა მიზანია, მაგალითად, სუნთქვის ტესტის ჩატარება ან სისხლის ნიმუშის აღება. ამ ტიპის პროცედურები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ აღწევენ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით ეს პროცედურებიც არის ერთგვარი ჩარევა ექვმიტანილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მათი გამოყენება ზოგადად მაინც გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან აუცილებელია სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად (იხ. *Inter alia*, ზემოთ ციტირებული *Tirado Ortiz and Lozano Martin*)

116. აქედან გამომდინარე, თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი მოქმედებს წინამდებარე სამართალწარმოებაში.

117. იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა მომჩივნის უფლება, არ დაიდანაშაულოს თავი, სასამართლომ უნდა იმსჯელოს შემდეგ ფაქტორებზე: მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი;

საზოგადოებრივი ინტერესის წონა ჩადენილი დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში; რაიმე შესაბამისი გარანტიების არსებობა პროცედურებში; და ამგვარი სახით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენების ხარისხი.

118. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში მტკიცებულების მოპოვებისთვის მიმართულ იძულების ბუნებასა და ხარისხს, სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ნარკოტიკების ამოსაღებინებლად მომჩივნის იძულება არის მნიშვნელოვანი ჩარევა მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში. მომჩივანი გააკავა ოთხმა პოლიციელმა, ცხვირის არხის გავლით კუჭში შეუყვანეს ზონდი და მისი მეშვეობით შეუშვეს ქიმიური ნივთიერება, რათა გამოეწვიათ ორგანიზმის პათოლოგიური რეაქცია და ეიძულებინათ, ამოეღო მტკიცებულება. ეს მოპყრობა ჩაითვალა არაადამიანურად და ღირსების შემლახავად და, შესაბამისად, დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.

119. რაც შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის წონას მომჩივნის ბრალდების უზრუნველსაყოფად მტკიცებულების გამოყენებაში, სასამართლო შენიშნავს, რომ როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იძულებითი ზომა გამოიყენეს ქუჩის დილერის მიმართ, რომელიც ყიდდა შედარებით მცირე ოდენობის ნარკოტიკებს და საბოლოოდ მიესაჯა ექვს თვემდე პირობითი მსჯავრი ექვს თვემდე ვადით და დაექვემდებარა საპრობაციო ზედამხედველობას. წინამდებარე საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესი მტკიცებულების გამოყენებაში მომჩივნის ბრალდების უზრუნველსაყოფად ვერ გაამართლებს მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში ესოდენ უხეშ ჩარევას.

120. პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობის თვალსაზრისით, სასამართლო შენიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე

(ა) მუხლის თანახმად, სხეულში შეღწევა უნდა განახორციელოს ექიმმა საავადმყოფოს პირობებში და მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს საფრთხე მომჩივნის ჯანმრთელობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაცვას ამა თუ იმ ზომის თვითნებური ან არამართებული გამოყენებისგან, თუმცა, მომჩივანმა, რომელიც დაეყრდნო დუმილის უფლებას, უარი განაცხადა წინასწარ სამედიცინო გამოკვლევაზე. მას შეეძლო ურთიერთობა მხოლოდ დამტკრეული ინგლისურით, რაც იმას ნიშნავდა, რომ მომჩივანს პროცედურა ჩაუტარეს მისი ფიზიკური თუ პროცედურის ატანის შესაძლებლობების სრული გამოკვლევის გარეშე.

121. რაც შეეხება ამგვარი სახით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენებას, სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებით

მოპოვებული ნარკოტიკები აღმოჩნდა გადამწყვეტი მტკიცებულება მისი ბრალდებისათვის ნარკოტიკებით ვაჭრობაში. მართალია ისიც, რომ მომჩივანს მისცეს შესაძლებლობა, საქმის სასამართლო განხილვაზე შეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებულების გამოყენებას და მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ეროვნულ სასამართლოთა ნებისმიერი შესაძლო განზრახვა, საქმიდან გამოერიცხათ ეს მტკიცებულება, უშედეგოდ დასრულდებოდა, რადგან ხსენებული ქმედება ჩაითვალა ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულად.

122. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასევე მზად იყო დაედგინა, რომ ნების დართვა მომჩივნის საქმის სასამართლო განხილვაზე გამოეყენებინათ ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებით მიღების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება, არის თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო უფლების დარღვევა. აქედან გამომდინარე, ამან მთელი სასამართლო პროცესი აქცია არასამართლიანად.

123. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.